- სიღრმისეულად გაანალიზოს მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკის ძირითადი კონცეფციები და მოდელები ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების პოზიციიდან;
- მოახდინოს ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების აგება და ფინანსური ბაზრების ტენდენციების შეფასება დროითი მწკრივების ანალიზის თანამედროვე მეთოდებით;
- გამოიკვლიოს ფისკალური და მონეტარული შოკების გავლენა ეკონომიკის ძირითად მახასიათებლებზე ფუნქციონალური, სტრუქტურული და ეკონომეტრიკული მოდელებით;
- მათემატიკურად აღწეროს ეკონომიკური სისტემების მართვის ამოცანების გადაწყვეტის მეთოდები.
- სტატისტიკური დასკვნების ვალიდური თეორიის გამოყენებით განახორციელოს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ეკონომიკური მონაცემების დამუშავება და ანალიზი.

უნარი



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- დამოუკიდებლად განხორციელოს კვლევები ეკონომიკის სფეროში უახლეს რაოდენობრივ მეთოდებზე დაყრდნობით;
- შეიმუშაოს რეკომენდაციები იდენტიფიცირებული მაკროეკონომიკური პრობლემების გადაჭრის შესაძლო მეთოდების შესახებ;
- წარადგინოს საკუთარი კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებული არგუმენტები და დასკვნები აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ავტონომიურად წარმართოს სწავლის პროცესი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით.

კონცენტრაცია: თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა

ცოდნა და გაცნობიერება

- თანამედროვე მეინსტრიმული თეორიების შედარებითი ანალიზის საფუძველზე სიღრმისეულად ახსნას მათი ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენების ვარიანტები;
- კრიტიკულად გაანალიზოს გლობალიზაციის პროცესის მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკებზე ზემოქმედების მექანიზმები, ფორმები და მიმართულებები;
- განახორციელოს თანამედროვე ეკონომიკური სისტემების ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის თეორიულ-მეთოდოლოგიური (კონცეპტუალური) მიდგომების სისტემატიზირება;
- დაუკავშიროს თეორიული ეკონომიკის ცოდნა პრაქტიკული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი ორიგინალური მიდგომების შემუშავებას.

უნარი

- გადაჭრას ეკონომიკის ფუნქციონირების მიკრო, მაკრო და მეგა დონეებზე წარმოქმნილი გრძელვადიანი, სტრატეგიული ამოცანები გენეტიკურ-სისტემური, გენეტიკურ-ფუნქციონალური და ჰოლისტური მიდგომების საფუძველზე;
- უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევები თეორიული ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებაში
- წარადგინოს საკუთარი კვლევების შედეგად მიღებული არგუმენტირებული დასკვნები აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ავტონომიურად წარმართოს სწავლის პროცესი საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით.

კონცენტრაცია: ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა

კონცენტრაციის - „ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“ - დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების განვითარების რაოდენობრივი ტენდენციების სიღრმისეულ ახსნას;
- ეკონომიკური და ბიზნეს პროცესების სტატისტიკური ურთიერთკავშირის ხარისხის სიმჭიდროვის დადგენას.

უნარი



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ეკონომიკურ კვლევებში სტატისტიკური მეთოდების დამოუკიდებლად გამოყენებას;
- თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ეკონომიკური და ბიზნეს რისკების სტატისტიკურ შეფასებას;
- ეკონომიკისა და ბიზნესის კონკრეტულ სექტორებში სამეცნიერო ნაშრომებისა და ანგარიშების დამოუკიდებლად მომზადებას;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით დასაბუთებული დასკვნების დამოუკიდებლად წარდგენას პროფესიული აუდიტორიის წინაშე აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით.

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

- უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით სწავლის პროცესის ავტონომიურად წარმართვას.

კონცენტრაცია: სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა

კონცენტრაციის - „სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა“ - დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- თანამედროვე სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით სოციალურ და დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების კომპლექსურ ანალიზს;
- სოციალურ, დემოგრაფიულ და ეკონომიკურ პროცესებს შორის ურთიერთკავშირის ხარისხის დადგენას;
- საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდოლოგიის გამოყენებით სოციალური და დემოგრაფიული ტენდენციების სიღრმისეულ და კრიტიკულ შეფასებას.

უნარი

- სოციალური და დემოგრაფიული პროცესების დამოუკიდებლად კვლევისას ინოვაციური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით სტატისტიკურ პროგნოზირებას;
- სოციალური და დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების განვითარების შესახებ სამეცნიერო ნაშრომების დამოუკიდებლად მომზადებას;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით დასაბუთებული დასკვნების დამოუკიდებლად წარდგენას პროფესიული აუდიტორიის წინაშე აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

- უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით სწავლის პროცესის ავტონომიურად წარმართვას.

კონცენტრაცია: ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია

კონცენტრაციის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- ახსნას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენები და პროცესები ღრმა, სისტემური და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე;
- ეკონომიკურ პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების შეფასების მეშვეობით განმარტოს ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების ცვლილებების მიზეზები;
- შეარჩიოს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის პრიორიტეტების მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში განსახორციელებელი მასტიმულირებელი ინსტრუმენტები;

უნარი



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის რთული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების დამოუკიდებლად კვლევა;
- განაზოგადოს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის თეორიაში ეკონომიკური ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე მიღებული შედეგები;
- წარადგინოს საკუთარი კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებული არგუმენტები და დასკვნები აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- განახორციელოს განუსაზღვრელობის პირობებში ეკონომიკურ-პოლიტიკური საქმიანობის დაგეგმვა გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების ინოვაციური პრაქტიკული მეთოდების გამოყენებით;
- მოახდინოს ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილების შედეგის კონტროლი და იმ ელემენტების ემპირიული შემოწმება, რომლებმაც სხვა პირობებთან ერთად განსაზღვრეს გადაწყვეტილება;
- ავტონომიურად წარმართოს სწავლის პროცესი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით.

კონცენტრაცია: ციფრული ეკონომიკა

კურსდამთავრებული შეძლებს

ცოდნა და გაცნობიერება

- ეკონომიკური თეორიების საფუძველზე განსაზღვროს ქვევითი და ინოვაციური ეკონომიკის აქტუალური საკითხები, მდგრადი განვითარების თანამედროვე პროცესები
- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე სიღრმისეულად აღწეროს ციფრული ეკონომიკის, მეწარმეობის, მარკეტინგის, ინოვაციების ფუნდამენტური კონცეფციები;
- კრიტიკულად ახსნას ციფრული ეკონომიკის საქმიანობების სტრატეგიები ცვალებად გარემოში მოქმედი რისკ-ფაქტორების ანალიზის საშუალებით;
- მოახდინოს ციფრული ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ოპტიმალური მეთოდების კლასიფიცირება.

უნარი

- თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით გადაჭრას პრაქტიკული პრობლემა მიკრო და მაკროეკონომიკურ დონეზე მიმდინარე პროცესების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე;
- დამოუკიდებლად განხორციელოს კვლევები ციფრული ეკონომიკის სფეროში უახლეს მიდგომებზე დაყრდნობით;
- წარადგინოს საკუთარი კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებული არგუმენტები და დასკვნები აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ავტონომიურად წარმართოს სწავლის პროცესი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით.

კონცენტრაცია: ბიზნესის ეკონომიკა

კურსდამთავრებული შეძლებს

ცოდნა და გაცნობიერება



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე სიღრმისეულად აღწეროს ბიზნეს და სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებისას გამოყენებული ფუნდამენტური მიკროეკონომიკური კონცეფციები
- კრიტიკულად ახსნას ბიზნეს საქმიანობების სტრატეგიები ცვალებად გარემოში ბიზნესზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის საშუალებით;
- მოახდინოს ბიზნესის ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ოპტიმალური მეთოდების კლასიფიცირება;
- დაუკავშიროს ბიზნესის ეკონომიკის სფეროს შესწავლისას მიღებული თეორიული ცოდნა თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ორიგინალური იდეების გენერირებას და უახლესი მეთოდებით კვლევას.

უნარი

- ინოვაციური მიდგომების გამოყენებით გადაჭრას პრაქტიკული პრობლემა მიკროეკონომიკურ დონეზე მიმდინარე პროცესების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე;
- დამოუკიდებლად განხორციელოს კვლევები ბიზნეს ეკონომიკის სფეროში უახლეს მიდგომებზე დაყრდნობით;
- წარადგინოს საკუთარი კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებული არგუმენტები და დასკვნები აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ავტონომიურად წარმართოს სწავლის პროცესი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით.

კონცენტრაცია: მაკროეკონომიკა

მაგისტრატურის კურსდამთავრებული შეძლებს

ცოდნა და გაცნობიერება

- ღია ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების თვისობრივ და რაოდენობრივ შეფასებას;
- მაკროეკონომიკური არასტაბილურობის დაძლევის გზების განსაზღვრას;
- მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების საფუძველზე კრიზისების პრევენციის შესაძლებლობების გამოვლენას;
- ნეოინსტიტუციონალიზმისა და ევოლუციური თეორიის გამოყენებით ტრანსფორმაციის პერიოდის იდეოლოგიური მეინსტრიმის ჩამოყალიბებას.

უნარი

- თანამედროვე ეკონომიკური თეორიების გამოყენებით ღია ეკონომიკაში ეკონომიკური პროცესების ანალიზს;
- მაკროეკონომიკური პროცესების პროგნოზირებას თანამედროვე ინოვაციური მეთოდებით;
- ტრანსფორმაციის პერიოდში არსებული პრობლემების პრაქტიკულ გადაწყვეტას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით სწავლის პროცესის ავტონომიურად წარმართვას.

კონცენტრაცია: ცირკულარული ეკონომიკა



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კურსდამთავრებული შეძლებს

ცოდნა და გაცნობიერება

- უახლეს ცოდნაზე დამყარებული კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახსნას ცირკულარული ეკონომიკის თანმდევ ეკონომიკური მოვლენები და პროცესები;
- ცირკულარული ეკონომიკის სფეროში მიღებული თეორიული ცოდნა დაუკავშიროს თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ორიგინალური იდეების გენერირებას და უახლესი მეთოდებით კვლევას;
- სიღრმისეულად აღწეროს ცირკულარულ ეკონომიკასთან, მდგრად განვითარებასთან, განახლებად რესურსებთან, ლურჯ და მწვანე ეკონომიკასთან დაკავშირებული ფუნდამენტური კონცეფციები.

უნარი

- გამოიყენოს ცირკულარულ ეკონომიკაში შემუშავებული თანამედროვე კონცეფციები დარგში არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის ინოვაციური გზების ძიებისათვის;
- შეიმუშაოს ქვეყნის მწვანე განვითარებაზე ორიენტირებული მექანიზმი, გარემოსდაცვითი საკითხების გადაჭრის სტრატეგიები;
- წარადგინოს კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და ხელმეორედ გამოყენების ეტაპებთან დაკავშირებული საქმიანობების სტრატეგიები;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად განახორციელოს ეკონომიკური პრობლემების კვლევა აპრობირებული და უახლესი კვლევის მეთოდების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ავტონომიურად წარმართოს სწავლის პროცესი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მაგისტრატურაში მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის „ეკონომიკის პრინციპები“ საკითხები:

1. თავი 2. ეკონომიკური აზროვნება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 19-34).
2. თავი 4. მოთხოვნა და მიწოდება ინდივიდუალურ ბაზარზე (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 63-82).
3. თავი 5. ელასტიკურობა და მისი გამოყენება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 87-106).



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

4. თავი 6. მიწოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 111-127).
5. თავი 7. მომხმარებლები, მწარმოებლები და ბაზრის ეფექტიანობა. (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 135-150).
6. თავი 13. წარმოების დანახარჯები და მოგება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 155-269).
7. თავი 14. ფირმები კონკურენტულ ბაზრებზე (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 275-295).
8. თავი 15. მონოპოლია (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 297-322).
9. თავი 23. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 483-501).
10. თავი 24. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 63-82).
11. თავი 26. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 545-563).
12. თავი 28. უმუშევრობა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 581-604).
13. თავი 29. მონეტარული სისტემა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 609-626).
14. თავი 30. ფულის მასის ზრდა და ინფლაცია (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 629-653).
15. თავი 31. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 657-677).
16. თავი 33. ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 701-738).

შენიშვნა: გამოცდა ტარდება ტესტირებით. ტესტების თითოეული ვარიანტი შედგება 50 შეკითხვისგან, მათგან - 25 მიკროეკონომიკის და 25- მაკროეკონომიკის პრინციპებიდან არის აღებული. თითოეულ შეკითხვას აქვს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან ერთი არის სწორი



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

და ფასდება 2 ქულით. გამოცდის ჩასაბარებელი სავალდებულო მინიმუმი შეადგენს 50 ქულას.

სამაგისტრო საგანმათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“

სამაგისტრო ნაშრომების საორიენტაციო თემატიკა

კონცენტრაცია „ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია“

- ეკონომიკური წესრიგის ტრანსფორმაციისა და ინტეგრაციის პრობლემები
- შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის წინააღმდეგობები და მათი დამლევის რეალური პერსპექტივები საქართველოში



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა: შედეგები და პერსპექტივები
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და პრაქტიკა
- კონიუნქტურისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა
- ეკონომიკური რისკების სადაზღვევო პოლიტიკა
- ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების ეროვნული მოდელის სპეციფიკა და მისი რეალიზაციის პრობლემები
- კონკურენციაში ჩართვის რისკები და მისი დაძლევის რაციონალური გზები
- საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობისა და სამართლიანობის თავსებადობის პრობლემა
- უმუშევრობის შედეგებზე სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების ინსტრუმენტები
- სტრატეგიული ეკონომიკური მოდელის აგების სიმკვლეები COVID-19-ის პირობებში და მისი მნიშვნელობა
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა
- საგარეო ვაჭრობისა და ინტეგრაციული ფორმების განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა
- ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული მიზნების ოპერაციონალიზების პრობლემები
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეგულირების ძირითადი მიმართულებები
- ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში: შედარებითი ანალიზი
- საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე თანამედროვე ეტაპზე და მისი ამაღლების ეკონომიკური პოლიტიკა
- აგრარული სფეროს განვითარების რეგიონული პრობლემები და მათი დაძლევის ეკონომიკური პოლიტიკა
- ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეკონომიკური პოლიტიკა
- ექსპორტ-იმპორტის ტენდენციები და მათი დაბალანსების პოლიტიკა საქართველოში
- გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები საქართველოში და მათი დაძლევის პერსპექტივები
- მეწარმეობის ახალი კულტურის ფორმირების პრიორიტეტები
- სოციალური მეწარმეობის განვითარების პერსპექტივები და მისი მნიშვნელობა სიღარიბის დაძლევაში
- ალოკაციის და დისტრიბუციის პრობლემები და მათი დაძლევის სახელმწიფო პოლიტიკა
- ინფრასტრუქტურის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

კონცენტრაცია „ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა აზრის ისტორია“

- სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ტრანსფორმაცია
- ეკონომიკური აზრის განვითარება კოვიდპანდემიით გამოწვეული გამოწვევების დაძლევის გზების შესახებ საქართველოში



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განვითარების გამოწვევები კოვიდპანდემიის კრზისის შემდგომ პერიოდში
- ილია ჭავჭავაძე ეკონომიკური წარმოების როლის შესახებ
- ნიკო ნიკოლაძე პროტექციონიზმის შესახებ და თანამედროვეობა
- მარჟინალური რეგულაცია
- ალფრედ მარშალის ნეოკლასიციზმი და თანამედროვეობა
- ნეოლიბერალიზმი და რეგულაცია
- წარმოების შედარებითი ხარჯების თეორია
- საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი და მისი პოტენციური ზრდის შეფასება
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია თანამედროვე ეპოქაში

კონცენტრაცია „საერთაშორისო ეკონომიკა“

- არალეგალური მიგრაცია - გლობალური პრობლემა
- ევროპის ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკა
- საერთაშორისო შრომითი მიგრაცია გლობალიზაციის პირობებში
- ინტელექტუალური მიგრაცია, მისი არსი და შედეგები
- მიგრაციის პრობლემები ევროპის ქვეყნებში
- მოსახლეობის მიგრაცია დსთ-ს ქვეყნებში
- იმპორტის ჩანაცვლების ეკონომიკური პოლიტიკის გავითარების შესაძლებლობები საქართველოში
- გლობალური სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა
- მსოფლიო წარმოების სტრუქტურა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში
- საქართველო-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივები
- საქართველო-ჩინეთის სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივები
- საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემები და პერსპექტივები
- სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის გამოწვევები
- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში
- ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. 17, საქართველო ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები;
- საქართველოს ვაჭრობის დინამიკის პერსპექტივები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ამოქმედების კონტექსტში;
- კლასტერული განვითარება და ქვეყნის კონკურენციული უპირატესობის დეტერმინანტები
- ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დეტერმინანტები და მისი პოზიციები გლობალურ ბაზრებზე



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- საქართველოს ეროვნული კონკურენტუნარიანობა და პერსპექტივები საერთაშორისო ეკონომიკაში
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოლიტიკა საქართველოში და განვითარების ძირითადი მიმართულებები
- ექსპორტიორი და არაექსპორტიორი ფირმების თავისებურებები (საქართველოს მაგალითზე)
- ციფრული მომსახურება გლობალურ ვაჭრობაში
- პრეფერენციული სავაჭრო ხელშეკრულებების გავლენა მიმდინარე ანგარიშის დინამიკაზე
- ინფრასტრუქტურა როგორც ვაჭრობის დეტერმინანტი (მოდული: საერთაშორისო ეკონომიკა)
- არასატარიფო ზომების გავლენა საქართველოს ექსპორტზე
- საერთაშორისო ვაჭრობა და ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია (კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე)

კონცენტრაცია „საერთაშორისო ფინანსები“

- სახელმწიფო ვალის რეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები
- საერთაშორისო დავალიანების მართვის პრობლემები ტრანსფორმაციულ ქვეყნებში
- ფინანსური სისტემისა და გლობალური ფინანსური ბაზრის განვითარების ტენდენციები თანამედროვე მსოფლიოში
- საერთაშორისო ფინანსური საფრთხეების ტრანსფორმირება გლობალიზაციის პირობებში
- ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები და განვითარების ტენდენციები საქართველოში
- ქვეყნების ინოვაციური განვითარების პოტენციალი და პერსპექტივები გლობალიზაციის ეპოქაში
- ბაზელის კომიტეტის პოლიტიკა 2008 წლის საფინანსო კრიზისის შემდეგ
- ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა და ინვესტიციის პრობლემები მსოფლიო ბაზარზე
- პანდემიის გავლენა გლობალურ საფინანსო (ლონდონი, ნიუ-იორკი, ტოკიო) - ცენტრებზე
- აქციების ბაზრის თავისებურებები განვითარებად ობლიგაციების ბაზრის თავისებურებები განვითარებად ქვეყნებში
- სარეიტინგო სააგენტოები და ობლიგაციების შეფასება

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა

- სექტორული ანგარიშების როლი ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში
- სატელიტური ანგარიშები ეროვნულ ანგარიშებში
- გამოშვებისა და შუალედური მოხმარების დინამიკისა და სტრუქტურის სტატისტიკა საქართველოში
- პირველადი შემოსავლების დონისა და დინამიკის სტატისტიკა



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში
- განკარგვადი შემოსავლის გამოყენების მიმართულებები საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოში
- ტურიზმის განვითარებაზე ციფრული ტექნოლოგიებისა და ტრანსფორმაციების გავლენის სტატისტიკური შეფასება
- პოსტპანდემიის პერიოდში საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარების მოლოდინების სტატისტიკური შეფასება
- საქართველოს ტურისტული მიმზიდველობის ზრდის სტატისტიკური კვლევა
- სვანეთის ტურისტული მიმზიდველობის ზრდის სტატისტიკური ტენდენციები და პერსპექტივები პოსტპანდემიის პერიოდში
- საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გავლენის სტატისტიკური შეფასება
- საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობაზე COVID-19 პანდემიის გავლენის სტატისტიკური შეფასება
- საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის დარგობრივ-ტერიტორიული სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი
- სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკური კვლევა
- COVID-19 პანდემიის გავლენის სტატისტიკური შეფასება საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებზე
- პოსტსაბჭოთა საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკური ტენდენციები
- საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკა COVID-19 პანდემიის პირობებში
- მოსახლეობის ავადობისა და მოკვდაობის სტატისტიკა საქართველოში კოვიდ-19 პანდემიის პირობებში
- მონეტარულ სექტორზე მთავრობის ოპერაციების მაკროეკონომიკური გავლენის სტატისტიკური ანალიზი
- რეალურ სექტორზე მთავრობის ოპერაციების მაკროეკონომიკური გავლენის სტატისტიკური ანალიზი
- მთავრობის ოპერაციების მაკროეკონომიკური გავლენის სტატისტიკა საგარეო სექტორის ანგარიშებზე
- რეალური სექტორის გავლენის სტატისტიკა მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობაზე
- საქართველოს საგარეო ვალის სტატისტიკური ანალიზი
- ინფლაცია და მისი გაანგარიშების თავისებურებები საქართველოში თანამედროვე პირობებში
- დაუკვირვებადი ეკონომიკა და მისი როლი მშპ-ს გაანგარიშებაში
- უმუშევრობის ახალი საერთაშორისო სტანდარტი და თანამედროვე სტატისტიკა
- COVID-19 პანდემიის გავლენის შეფასება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე
- სტატისტიკური სატელეტური ანგარიშების წარმოების პერსპექტივები საქართველოში



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების სტატისტიკური ანალიზი
- საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის სტატისტიკური შეფასება
- საქართველოს საიმპორტო კალათის სტატისტიკური ანალიზი და ადგილობრივი წარმოების პროდუქტით ჩანაცვლების შესაძლებლობანი
- უცხოეთიდან მიღებული ფულადი სახსრების სტატისტიკური ანალიზი და სამომავლო გამოწვევები

კონცენტრაცია „ბიზნესის ეკონომიკა“

- ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზარი: შესაძლებლობები და პერსპექტივები (შერჩეული ბაზრის მაგალითზე)
- საფასო დისკრიმინაციები ქართულ რეალობაში
- საფასო დისკრიმინაციის გავლენა ფირმის ეკონომიკურ შედეგებზე
- ბიოწარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში
- ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა (შერჩეული პროდუქტების მაგალითზე)
- რეკლამა - მიკროეკონომიკური ანალიზი და მისი ეფექტიანობა
- რეკლამის გავლენა ფირმების ეკონომიკურ შედეგებზე
- ციფრული მეწარმეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში
- ბიზნეს მოდელები ციფრულ მეწარმეობაში
- ციფრული მცირე და საშუალო მეწარმეობის თანამედროვე გამოწვევები
- ავტომატიზაციის პერსპექტივები და გამოწვევები ბიზნესში
- აუტსორსინგი და მისი როლი მენეჯერულ გადაწყვეტილებებში
- აგროკრედიტების თანამედროვე სისტემის ფორმირების პერსპექტივები საქართველოს აგრარულ სექტორში
- აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ფარგლებში
- სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მსოფლიო გამოცდილება აგრარული სექტორის პრობლემის გადაწყვეტაში
- აგრარული სექტორის ეკონომიკური პრობლემები და მისი დამლევის პერსპექტივები საქართველოში
- პროფესიული განათლების სისტემა და მისი გამოწვევები საქართველოში
- უმაღლესი განათლების სისტემა და მისი გამოწვევები საქართველოში
- სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის პრობლემები საქართველოში
- გარემოს დაცვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში
 - ✓ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა საქართველოში
 - ✓ წყლის დაბინძურების პრობლემა საქართველოში
 - ✓ დაცული ტერიტორიების მართვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ✓ ნარჩენების მართვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში (რომელიმე მუნიციპალიტეტის მაგალითზე)
- ✓ სატყეო რეფორმის განხორციელების მიმართულებები საქართველოში

კონცენტრაცია „ციფრული ეკონომიკა“

- კონკურენტუნარიანობა ციფრულ ეკონომიკაში
- ინდუსტრია 4.0. და ციფრული ეკონომიკის კონცეფცია
- ციფრული ინოვაციების გავლენა ეკონომიკის ზრდაზე
- ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია
- ეკონომიკური პოლიტიკის ციფრიზაციის ინსტრუმენტები და ინდიკატორები საქართველოს ციფრულ სივრცეში
- საქართველოს ეკონომიკის ციფრიზაციასთან დაკავშირებით წარმოქმნილი რისკების შეფასება
- საქართველოს ეკონომიკის ციფრიზაციასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები
- ციფრული მარკეტინგის მართვის პრობლემები და გადაჭრის გზები
- არჩევანის თეორია და ირაციონალური ქცევა
- ქცევის ეკონომიკის მეთოდოლოგიური და თეორიული ასპექტები
- ქცევის ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული შედეგები
- არჩევანი განუსაზღვრელობისა და რისკის პირობებში
- ციფრული მეწარმეობის განვითარების თანამედროვე გამოწვევები
- ბიზნეს მოდელები ციფრულ მეწარმეობაში
- ონლაინ პლატფორმების გავლენა ციფრული მეწარმეობის განვითარებაზე
- მონაცემების ანალიზისა და პროგნოზირების გამოწვევები ციფრულ ბაზრებზე
- ციფრული ტექნოლოგიების გავლენა ბიზნესზე
- ციფრული სტარტაპების განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები
- ინოვაციების გავლენა ეკონომიკის ციფრიზაციაზე
- ფირმის (საწარმოს) ინტელექტუალური რესურსი და ინტელექტუალური კაპიტალი ციფრიზაციის პირობებში
- ინოვაციური მეწარმეობა და ინოვაციური აქტიურობის ამალღების გზები ციფრიზაციის პირობებში
- რისკების მართვა ინოვაციურ საქმიანობაში (ციფრიზაციის პირობებში)

კონცენტრაცია „მაკროეკონომიკა“

- ფისკალური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები
- ინფლაციური პროცესების თარგეტირება და რეგულირება
- მონეტარული პოლიტიკის მაკროეკონომიკური ასპექტები
- ინვესტიციების მასტიმულირებელი მაკროეკონომიკური პოლიტიკა
- საგადასახდლო ბალანსის გავლენა მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე
- რეგიონული განვითარების მაკროეკონომიკური ასპექტები



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციური საფუძვლები
- მწვანე ეკონომიკის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე
- ეფექტიანი დასაქმება, როგორც სიღარიბის დაძლევის გზა საქართველოში
- შრომითი პოტენციალის ფორმირება, განაწილება და გამოყენება (საქართველოში, რეგიონში)
- მიგრაციული პროცესების გავლენა საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე
- საბიუჯეტო მოწყობა და ფისკალური დეცენტრალიზაციის მაკროეკონომიკური პრობლემები
- უთანასწორობის შემცირების მაკროეკონომიკური პოლიტიკა
- სავალუტო კრიზისის მაკროეკონომიკური ასპექტები
- ეკონომიკური სტაბილურობა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის თავისებურებები

კონცენტრაცია „ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა“

- ერთდროულ განტოლებათა სისტემის გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში
- ინვესტიციების თეორიული და ეკონომეტრიკული მოდელები
- ეკოლოგიური შეზღუდვები ეკონომიკური ზრდის მოდელებში
- საქართველოს ეკონომიკაში ფულზე მოთხოვნის მოდელირება
- დროითი მწკრივების მოდელებით მაკროეკონომიკურ მაჩვენებლთა პროგნოზირება
- ფულის მასის, გამოშვების მოცულობისა და ინფლაციის კავშირის მოდელირება
- ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების არაწრფივი მოდელები
- მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიული და გამოყენებითი მოდელები
- მოხმარების თეორიული და გამოყენებითი მოდელები
- შრომის ბაზრის ანალიზისა და პროგნოზირების მოდელები
- სახელმწიფო ვალის დინამიკისა და სტაბილიზაციის მოდელები
- საპროცენტო განაკვეთი და მონეტარული პოლიტიკა - ეკონომეტრიკული ანალიზი
- ეკონომიკური ზრდის ეკონომეტრიკული მოდელირება
- ეკონომიკურ ზრდაზე ფისკალური ინსტრუმენტების გავლენის ეკონომეტრიკული შეფასება
- მონეტარული პოლიტიკის ეკონომეტრიკული მოდელები
- საწარმოო ფუნქციის აგების პრობლემები
- საქართველოს საპენსიო სისტემის სრულყოფის მოდელირება
- პროგნოზირების ეკონომეტრიკული მეთოდები და მოდელები
- განაწილებული ლაგი და დინამიკური მოდელი
- ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დისკრეტულცვლადებიანი ეკონომეტრიკული მოდელები
- ინფლაციისა და უმუშევრობის ეკონომეტრიკული ანალიზი
- შემოსავლების ეკონომეტრიკული ანალიზი საქართველოს შინამეურნეობებზე დაკვირვების პანელური მონაცემების გამოყენებით
- გაცვლითი კურსის დინამიკის მოდელირება



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- სახელმწიფო ვალი და ეკონომიკური ზრდის დინამიკა
- სახელმწიფოს შემოსავლებისა და დანახარჯების მოდელირება
- ლარის გაცვლითი კურსის ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდები
- ელექტროენერჯის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების ანალიზისა და პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები (საქართველოს მაგალითზე)
- მაკროეკონომიკური გარემოს გავლენა საქართველოს საბანკო სექტორზე (ეკონომეტრიკული ანალიზი)
- IS-LM მოდელის განტოლებათა სისტემის სპეციფიკაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის თავისებურებები (საქართველოს მაგალითზე)
- ფილიპსის მრუდი და შრომის ბაზარი საქართველოში (ეკონომეტრიკული ანალიზი)
- ეკონომიკურ ზრდაზე სახელმწიფო დანახარჯების გავლენის ეკონომეტრიკული შეფასება
- უძრავ ქონებაზე ფასწარმოქმნის მოდელირება
- ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების მეთოდები
- ეკონომიკურ ზრდაზე ადამიანისეული კაპიტალის გავლენის შეფასების მეთოდები და მოდელები
- შეზღუდული დამოკიდებული ცვლადები ეკონომეტრიკულ მოდელებში
- საქართველოში შრომის ნაყოფირების ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდები და მოდელები
- ავტორეგრესიული პირობითი ჰეტეროსკედასტრობის მოდელები
- მსყიდველობითი უნარის პარიტეტი და ლარის კურსის პარიტეტიდან გადახრის ეკონომეტრიკული შეფასება საქართველოში
- ეკონომიკური კრიზისების ეკონომეტრიკული ანალიზი
- სტატისტიკური და დინამიკური სტრუქტურული მოდელების გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში
- დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ეკონომეტრიკული მოდელირება
- საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების ეკონომეტრიკული მოდელირება
- ფინანსური ინსტრუმენტების ფასწარმოქმნის მოდელირება
- ფისკალური შოკების მაკროეკონომიკური ეფექტების შეფასების მოდელები
- საქართველოს ეკონომიკაში ინფლაციის ფაქტორებისა და დინამიკის ეკონომეტრიკული ანალიზი

კონცენტრაცია „თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა“

- ეკონომიკის გლობალიზაციისა და პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის დიალექტიკა
- ეკონომიკის გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულებები
- ეკონომიკის გლობალიზაცია და საბაზრო სისტემის მომავალი
- ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ) როლი ეკონომიკის გლობალიზაციაში



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ტრანსნაციონალური კომპანიები და ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა
- გლობალური ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები
- თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მიზეზები, განვითარების ლოგიკა, შედეგები და მათი დაძლევის გზები
- ფინანსური გლობალიზაციის არსი და ძირითადი მიმართულებები
- ამერიკული „თავისუფალი მეწარმეობისა“ და კონტინენტური ევროპის „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მოდელების შედარებითი ანალიზი
- ეკონომიკის გლობალიზაციის მოდელები
- ეკონომიკის გლობალიზაცია და შრომები რესურსების ტრანსნაციონალური მობილობა
- ეკონომიკის გლობალიზაცია და ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა
- საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ”შოკური თერაპიის” მეთოდისადმი ორსაფეხურიანი მიდგომის არსი და სირთულეები
- სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ქართული გამოცდილება და მისი პოსტკომუნისტური ქვეყნების საპრივატიზაციო გამოცდილებასთან შედარებითი ანალიზი
- საქართველოში ეროვნული ვალუტის შემოღებისა და მისი გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევის გამოცდილება
- რეგულაციამდელ საქართველოში საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისების არსი და ჩამოყალიბება, და დაძლევის გზები პოსტრეგულაციურ პერიოდში
- პოსტკომუნისტური ინსტიტუციური რეფორმების თავისებურებები რეგულაციამდელ და პოსტრეგულაციურ საქართველოში
- საგადასახადო სისტემის ტრანსფორმაციის თავისებურებები რეგულაციამდელ და პოსტრეგულაციურ საქართველოში
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლი პოსტრეგულაციურ რეგულაციამდელ და პოსტრეგულაციურ საქართველოში
- გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის და ადგილობრივი ფაქტორების ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და ანტიკრიზისული ღონისძიებები
- საქართველო-ევროკავშირის და საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა დინამიკა და პერსპექტივები
- არჩევანის თეორია და ირაციონალური ქცევა
- ქვეყნის ეკონომიკის მეთოდოლოგიური და თეორიული ასპექტები
- ქვეყნის ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული შედეგები
- არჩევანი განუსაზღვრელობისა და რისკის პირობებში

კონცენტრაცია „ცირკულარული ეკონომიკა“

- ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მსოფლიო გამოცდილება განახლებადი ენერჯიებზე გადასვლის პირობებში საქართველოში
- დინამიური კავშირები ენერჯეტიკის მოხმარებას, ეკონომიკურ ზრდას და ეკონომიკურ განვითარებას შორის: ახალი დასაბუთება მულტივარიარული ჩარჩო ანალიზისაგან
- ცირკულარული ეკონომიკის გავლენა ენერგოეფექტურობის ზრდაზე
- მდგრადი განვითარების შესწავლა მწვანე ეკონომიკის ინდიკატორების გამოყენებით
- მწვანე ენერჯის სტრატეგიები მდგრადი განვითარებისათვის
- კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება
- ლურჯი ეკონომიკის ფაქტორების გავლენა ეკონომიკური ზრდაზე საქართველოში
- ლურჯი ეკონომიკა: სტრატეგია და შესაძლებლობები



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი